MES 8 23 0001694026

12/12/2023

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 28 ნოემბერს 14:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Nov 28, 2023 02:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/81140348854?pwd=VEEzQUpBZTBKU291N29zeTVOVEJNZz09
Meeting ID: 811 4034 8854
Passcode: 171545
საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
ნატო მებურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა
გიორგი მაღლაკელიძე - დირექტორი
ზაზა ამირეჯიბი - მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამების მენეჯერი

სსიპ - კოლეჯი „ბლექსი“
გიორგი გოგიტიძე - დირექტორი
მაია თოიძე - დირექტორის მოადგილე
ბიძინა კირთაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ინგა ლომთათიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი
მანანა კობალაძე - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
გიორგი ფუტკარაძე - სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მენეჯერი (შუახევი)
მამუკა მელაძე - „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - კოლეჯი „მერმისი“
დავით უგულავა - დირექტორის მოადგილე
ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
თამთა ლაგვილავა - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
ეთერ ნადარეიშვილი - პროფესიული განათლების მასწავლებელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:
ხათუნა ჩომახიძე
ნანა შათირიშვილი
სოფიო გოხელაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ.

შუამდგომლობა ეხებოდა „ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრისთვის „ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის №1598982 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ ცვლილება უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების დანართში, ვინაიდან აღნიშნულ დანართში დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობა, რაც ეხებოდა პროგრამის ხანგრძლივობას.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრისთვის „ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის №1598982 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ ჭიათურის მულტიფუნქციური ცენტრისთვის „ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 24 ნოემბრის №1598982 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1)**.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“ /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის, ბღერის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 7 ნოემბრის №1502892 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

2. სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ „კერძების მომზადების ტექნოლოგია“ /01765/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. სსიპ კოლეჯ „მერმისის“ „სურსათის უვნებლობა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში“ /01784/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

ცენტრის მხრიდან შუამდგომლობის დაყენების შემდეგ საბჭოს სხდომა წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით

1. „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“ /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის, ბღერის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 7 ნოემბრის №1502892 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

პირველი საკითხი საბჭოზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა მაყვალა დარსანიამ და განაცხადა, რომ ცვლილება უნდა განხორციელდეს „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“ /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის, ბღერის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 7 ნოემბრის №1502892 გადაწყვეტილებაში, კერძოდ ცვლილება უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების დანართში, ვინაიდან აღნიშნულ დანართში დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობა, რაც ეხებოდა პროგრამის ხანგრძლივობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“ /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის, ბღერის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 7 ნოემბრის №1502892 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლისთვის „ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი“ /01650/ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული პრომეთეს, მელოურის, ბღერის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმეში - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 7 ნოემბრის №1502892 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 2).**

2. სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ „კერძების მომზადების ტექნოლოგია“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნანა შათირიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 16 ოქტომბრის № 1377926 ბრძანების საფუძველზე, ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა და დარგის ექსპერტმა ნანა შათირიშილმა 2023 წლის 24 ოქტომბერს

განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ,,ბლექსიში“ შუახევის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ი. ჭავჭავაძის ქ.№8, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე და შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „კერძების მომზადების ტექნოლოგია“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზი 1.7 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.7 - პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია

პროგრამა „ კერძების მომზადების ტექნოლოგია“ განხორციელდება 15 კვირის განმავლობაში. თითოეულ კვირაში 20 საათის მოცულობით, შესაბამისად, დღეში 4 საათი. პროგრამის სრული სასწავლო დატვირთვა მოიცავს 300 საათს. პროგრამა „კერძების მომზადების ტექნოლოგია“ საკმაოდ მოცულობითია და ითვალისწინებს 5 სწავლის შედეგის მიღწევას, რომლებიც გულისხმობს კერძების მომზადებას და არა მხოლოდ ტექნოლოგიის ცოდნას, შესაბამისად დასაზუსტებელია, რომ მსმენელებს ეცოდინებათ რამდენიმე ძირითადი კერძის მომზადება, როგორც ქართული, ასევე, ტრადიციული აჭარული, სწრაფი კვებისა და საერთაშორისოდ გავრცელებული კერძებიდან. შესაძლებელია მსმენელებმა ტექნოლოგია რამდენიმე პროდუქტის ერთდროული დამუშავებით შეისწავლონ, მაგრამ არ იცოდნენ კერძის საბოლოო ფორმით მომზადება. ვინაიდან ეს პროგრამა მოკლევადია, არსებული ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელ მასალას მოიცავს 15 კვირიანი ხანგრძლივობისთვის, საჭიროა მოხდეს ლაკონური დაზუსტება და სასწავლო თემატიკის გაფილტვრა, რათა მსმენელებმა შეძლონ მითითებული თემატიკის სათანადოდ ათვისება და სწავლის შედეგების მიღწევა. აღნიშნული საკითხი დაფიქსირდა ხარვეზად, რადგან აუცილებელია პროგრამის გადახედვა, დაკორექტირება, როგორც სრული მოცულობის ასევე, შინაარსობრივ ნაწილშიც.

ასევე, გაიცა რეკომენდაცია 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში

ქვესტანდარტი 1.2 - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს

რეკომენდებულია დაზუსტდეს სწავლის შედეგების ფორმულირება, პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე, რომ მსმენელები შეისწავლიან კერძების არა მომზადებას, არამედ მომზადების ტექნოლოგიას.

დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 15 კვირა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 20, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე - 24, პროგრამის განხორციელების ადგილი - დაბა შუახევი, ი. ჭავჭავაძის ქ. №8.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ 2018 წლის ბოლოს სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ENPARD – 2 მხარდაჭერის ფარგლებში, მოხდა აჭარის მაღალმთიანეთში შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი, სადაც აღნიშნულია, რომ ვითარდება ტურიზმის სფერო და დაგეგმილია შუახევის მუნიციპალიტეტში სამთო ტურიზმის განვითარებაც. აშენდება ორზოლიანი „ზიპლაინი“, რაც განავითარებს ტურიზმსა და შესაბამისად გაჩნდება ახალი კვების ობიექტების საჭიროებაც. ასევე, არის მზაობა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ისწავლონ შუახევში „კერძების მომზადების ტექნოლოგიის“ პროფესიული მომზადების პროგრამაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რომ მსმენელებს შეეძლებათ დასაქმდნენ კვების სფეროში, სხვადასხვა ტიპის ობიექტებში, ან წამოიწყონ საკუთარი მცირე ბიზნესი ამ სფეროში, პროგრამა ნამდვილად გულისხმობს პიროვნული განვითარების პერსპექტივებს და „კერძების მომზადების ტექნოლოგია“ სრულად პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამის მიზანთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს კადრი, რომელსაც ექნება თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები ქართული და საერთაშორისო სამზარეულოს

ძირითადი კერძების მომზადების ტექნოლოგიაში. შეასწავლოს პირს თითოეული კერძისთვის შესაბამისი საკვები პროდუქტისა და ნედლეულის არჩევა, ხარისხის შემოწმება, ნახევარფაბრიკატების მომზადება, ნედლეულისა და პროდუქტის თერმული დამუშავება, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ქართული, საერთაშორისო კერძებისა და ცომეული ნაწარმის მომზადება/ შენახვა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სურსათის უვნებლობის თანამედროვე რეგულაციების დაცვით.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა - საბაზო განათლება, ასაკი 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.
პროფესიული მომზადების პროგრამაში გამოყენებულია შემდეგი სწავლების მეთოდები - ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრაქტიკული სავარჯიშო.
პროფესიული მომზადების პროგრამას, რომლის ხანგრძლივობა 15 კვირას მოიცავს, კოლეჯი სათანადოდ სრულად აღჭურვილ C გარემოში განახორციელებს, ხოლო პირველ კვირას თეორიული კომპონენტი კოლეჯის A გარემოში განხორციელდება.
განმახორციელებელ პირებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამას გაუძღვება კონკურსის წესით შერჩეული2 განმახორციელებელი პირი,მათი კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
დაწესებულებაში არსებული სასწავლო გარემოები აღჭურვილია სათანადო მატერიალური რესურსით, სადაც მსმენელები გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს. ვიზიტის დროს გადამოწმდა კოლეჯის სასწავლო გარემო, ასევე, მატერიალური რესურსი. დაწესებულებამ განაცხადის მიხედვით პროფესიული მომზადების პროგრამაზე მოითხოვა 24 მსმენელი (12 მსმენელი ორ ცვლაში).
დაწესებულებაში სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. პროფესიული მომზადების ფარგლებში დაწესებულებას აქვს 15 ელექტრონული სასწავლო რესურსი, რომელიც ხელმისაწვდომია მსმენელებისათვის.
დაწესებულებამ ელექტრონულად წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც დგინდება, რომ სსიპ კოლეჯ „ბლექსის“ შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ მესამე სტანდარტის ქვესტანდარტები დაკმაყოფილებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დარგის ექსპერტს დაეზუსტებინა პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რაზეც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია პროგრამა 6 თვემდეც კი გახანგრძლივდეს, ვინაიდან საუბარია საერთაშორისო კერძების მომზადებაზე, ქართულ სამზარეულოზე, აჭარულ კერძებზე და სწრაფი კვების კერძებზე, ეს ყველაფერი მოცულობითად რომ წარმოვიდგინოთ სამი თვე და სამი კვირა ნამდვილად ცოტაა, სასურველია მსმენელებმა შეძლონ ქართული და ასევე, აჭარული კერძების მომზადება, ან საერთაშორისო კერძების.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია.
დაწესებულების ხელმძღვანელი გიორგი გოგიტიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და ცენტრის წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ საუბარი იყო შუახევში აღნიშნული პროგრამის განხორციელებაზე. აღსანიშნავია, რომ ზემო აჭარაში ტურიზმი სწრაფი ტემპით ვითარდება, აქამდე ზემო აჭარისთვის ტურიზმი ისტორიული ფაქტორების გამო არ იყო გავრცელებული, შესაბამისად ახლა, როდესაც ის სწრაფად ვითარდება, გამოიკვეთა ადამიანური რესურსების დეფიციტი. ამ ლოკაციაზე დაწესებულება სამი წელია ახორციელებს პროგრამებს, თუმცა სანამ სრულად არ მოხდა სათანადოდ აღჭურვა, გარემოს მოწყობა, ბათუმთან შედარებით უკეთესი აღჭურვილობის შეძენა, ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება, ვინაიდან ადგილზე არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულები, იქამდე არ მიუღია

დაწესებულებას გადაწყვეტილება შემოეტანა განაცხადი. რაც შეეხება უშუალოდ პროგრამას, სახელწოდებასთან დაკავშირებით კოლეჯი ეთანხმება დარგის ექსპერტს, მართალია ტექნოლოგია არ გამორიცხავს კერძის მომზადებასაც, თუმცა დაწესებულება ითვალისწინებს გაცემულ რეკომენდაციას და შესაბამისად პროგრამა ჩამოყალიბდება შემდეგი სახელწოდებით: „ქართული და საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული კერძების მომზადება“, ანუ აქცენტი გადატანილია გავრცელებული კერძების მომზადებაზე, რაც გარკვეულწილად ცვლის შინაარსობრივ საკითხს. რაც შეეხება მეორე საკითხს, ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, ვინაიდან კოლეჯი ახორციელებს ამ პროგრამას, რომელიც დაიმატა დაწესებულებამ რეგისტრაციის გზით, დაფინანსებაც მოპოვებული აქვს და რამე პრობლემა არ იქმნება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით, შესაძლებელია ამ ვადაში ამ პროგრამის განხორციელება. გასაგებია დარგის ექსპერტის მოსაზრება, რაც უფრო ხანგრძლივი იქნება პროგრამა, მეტად ხარისხიანი იქნება, თუმცა ამისთვის არის საკვალიფიკაციო პროგრამა 15 და 20 თვიანი, შესაბამისად, ამ შემთხვევაში შესაძლებელია ყოველგვარი პრობლემის გარეშე ამ პროგრამის განხორციელება. მან დასძინა, რომ თვითონ კოლეჯის ინტერესებში არ შედის დაბალი ხარისხის სწავლების მიწოდება და დაწესებულება მზადა განახლებული სახელწოდებით მაღალი ხარისხით განხორციელდეს წარმოდგენილი პროგრამა.
მარიკა ზაქარეიშვილმა მიმართა დაწესებულების დირექტორს და დააზუსტა, დაწესებულება არ ეთანხმებოდა პროგრამის ქართული და აჭარული და ცალკე საერთაშორისო კერძების მომზადებას, ანუ ორი პროგრამის შექმნას, რაზეც დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ სწორედ ამაზეა საუბარი, რომ გავრცელებულ კერძებზე არის აქცენტი გადატანილი, ანუ არ მოიცავს ყველა კერძს, შესაბამისად როდესაც ვიზიტორია ზემო აჭარაში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი, მას უნდა ჰქონდეს წარმოდგენა რა შესთავაზოს, აქ საუბარია გავრცელებული კერძების და არა აზიური, თუ ევროპული სამზარეულოს კერძების სიღრმისეულ ცოდნაზე.
კომენტარი გააკეთა დაწესებულების წარმომადგენელმა მაია თოიძემ, მან განაცხადა, რომ როდესაც გაეცნო ექსპერტის დასკვნას, ფაქტობრივად ორი საკითხი გამოიკვეთა, მან მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულება დაფიქრდა ამ საკითხზე, ანუ დასკვნაში იკვეთება, რომ უფრო მეტად კერძების მომზადებაა, ვიდრე ტექნოლოგია, შესაბამისად დაწესებულებამ ჩათვალა, რადგან შინაარსში მოცემულია კერძების მომზადება, იზიარებენ ამ მოსაზრებას, შინაარსში ქართული და საერთაშორისო სამზარეულოს კერძების მომზადებაა, თუმცა ყველა საკითხი საკვალიფიკაციო პროგრამიდან არ არის გადმოტანილი, დაწესებულებას გაუჩნდა კითხვა, ვინაიდან პროგრამა ხარისხიანად ხორციელდება, თუ პრობლემა არ არის, რაც ასევე დადასტურდა მსმენელთა გამოკითხვით, მან დასძინა, რომ კოლეჯი ასე ფიქრობს, რომ თუკი არის ამხელა გამოცდილება, დასაქმების მაჩვენებელიც მაღალია, რაც დაწესებულებას აძლევს არგუმენტს, რომ აღნიშნულ ლოკაციაზეც წარმატებით უნდა განხორციელდეს აღნიშნული პროგრამა. სახელწოდებასთან დაკავშირებით მან კიდევ ერთხელ გადაუხადა დარგის ექსპერტს მადლობა და დასძინა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროგრამის შუახევში განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ბლექსის“ „ქართული და საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული კერძების მომზადება“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ბლექსს“ (ს/კ: 245610398) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ქართული და საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული კერძების მომზადება /01765/ **(დანართი 3)**.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი მარიამ ქუჩულორია

3. სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ „სურსათის უვნებლობა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში“ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა სოფიო გოხელაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 4 ნოემბრის № 1493554 ბრძანების საფუძველზე, ცენტრის წარმომადგენელმა ნონა საათაშვილმა და დარგის ექსპერტმა სოფიო გოხელაშვილმა 2023 წლის 10 ნოემბერს განახორციელეს ვიზიტი სსიპ კოლეჯ ,,მერმისში“, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე და შეისწავლეს პროფესიული მომზადების პროგრამის „სურსათის უვნებლობა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ

ქვესტანდარტი 1.2 პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს - პროფესიული მომზადების პროგრამის „სურსათის უვნებლობა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში“ თემატიკაში, მეტად არის ყურადღება გამახვილებული ლაბორატორიულ ნაწილზე, რაც სწავლის 6 შედეგიდან სამში იკვეთება, ხოლო სახელწოდებაში რაიმე სახით მინიშნება ლაბორატორიის ამხელა წვლილზე არ ჩანს. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სახელწოდებაში

პირდაპირ არის მითითებული, ტერმინი „საწარმოებში“, ხოლო პროგრამით გათვალისწინებული არ არის პრაქტიკის ობიექტების (საწარმოების) ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში.
თითოეული კვირის თემატიკა ისე არის გადანაწილებული, რომ დიდი წილი ლაბორატორიაზე და ლაბორატორიულ კვლევებზე მოდის, ხოლო პროგრამის სახელწოდებაა - "სურსათის უვნებლობა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში", რაც გულისხმობს იმას, რომ საწარმო, როგორც პრაქტიკის ობიექტი ჩართული უნდა იყოს სწავლების პროცესში, სადაც აღნიშნული პროგრამის მსმენელები შეძლებენ რეალურად ნახონ როგორ არის მოწყობილი საწარმო, როგორ არის დაცული სურსათის უვნებლობის მოთხოვნები, აქვთ თუ არა დანერგილი HACCP-ის სისტემა და რამდენად სწორად ახორციელებენ პროცესების კონტროლს, რომელიც საჭიროა უვნებელი სურსათის საწარმოებლად.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის სახელწოდებაში უნდა შევიდეს ცვლილება.

ქვესტანდარტი 1.3 მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან - პროგრამის მიზანი მისი სახელწოდებისა და შინაარსიდან გამომდინარე, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული. მიზანი გავრცობილია და ფორმულირება არადამაკმაყოფილებელი. HACCP-ის სისტემის 12 ეტაპში, პირველი პრინციპი (ეტაპი 6) არის „საფრთხის ანალიზი“, რაც გულისხმობს ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური საფრთხეების გამოვლენას. მიზანში კი რამდენჯერმე, სხვადასხვა ფორმულირებით არის გამოყენებული აღნიშნული ტერმინი „საფრთხე“ და ხდება გადაფარვა. ასევე, მიზანში მოცემულია: „შეძლებენ შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით რძისა და პურ-პროდუქტების ვარგისიანობის კვლევას/შემოწმებას ლაბორატორიულად“, რაც ასევე არ არის სწორად ფორმულირებული. შრომის უსაფრთხოების ნაწილი, არ შეესაბამება პროგრამის სახელწოდებას და შინაარსს და ვერც სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით უზრუნველყოფენ სურსათის ვარგისიანობის კვლევას/შემოწმებას ლაბორატორიულად, რაც მიგვითითებს მიზნის არასწორ მიმართულებაზე.

ქვესტანდარტი 1.9 პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას - კოლეჯს პროფესიული მომზადების პროგრამის მიზნების მისაღწევად აქვს სასწავლო ქიმიური ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, ინტერნეტით, თანამედროვე ხელსაწყო-იარაღებით, გამწოვით, დანადგარებით, ქიმიური ლაბორატორიული ავეჯითა და ჭურჭლით, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობისათვის (AC გარემო).
პროგრამა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას ითვალისწინებს, მხოლოდ სასწავლო ქიმიური ლაბორატორიის ბაზაზე და ჩართული არ ჰყავს პრაქტიკის ობიექტები (საწარმოები), რაც თავის მხრივ გამორიცხავს პროგრამის მიზნის მისაღწევად საჭირო სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას.
პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე, საწარმოს მნიშვნელოვანი წილი უკავია, თუმცა კოლეჯს არ აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი არცერთ რძის ან/და პურ-პროდუქტების საწარმოსთან.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაიცა, ასევე, რეკომენდაციები.
ქვესტანდარტი 1.1 პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების / მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს - სსიპ კოლეჯ „მერმისის“ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მონიტორინგისა და ლაბორატორიული კვლევის შედეგები, თუმცა არ არის მოყვანილი სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის შედეგები.

დარგის ექსპერტის მიერ გაიცა რეკომენდაცია, წარმოდგენილ იქნას, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის (ინსპექტირება, მონიტორინგი, ზედამხედველობა, დოკუმენტური შემოწმება, ნიმუშის აღება) შედეგები.
ასევე, გაიცა რეკომენდაცია, რომ წარმოდგენილ იქნას რძის გადამამუშავებელი საწარმოებიდან აღნიშნული სპეციალისტების საჭიროების არსებობა. საჭროების დასაბუთების დოკუმენტში მაგალითად მოყვანილ დასაქმების საიტზე www.hr.gov.ge სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებული ვაკანსიები არის უშუალოდ სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში დასასაქმებელი სპეციალისტებისათვის, რასაც აღნიშნული პროგრამა ვერ ფარავს.

ქვესტანდარტი 1.6 პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით - პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, თუმცა რეკომენდებულია, მე-5 სწავლის შედეგში არსებული ტერმინოლოგიური უზუსტობა, კერძოდ GMP (Good Manufacturing Practice) რომელიც ითარგმნება, როგორც - „წარმოების კარგი პრაქტიკა“ შეიცვალოს, რადგან სწავლის შედეგში მოცემულია, როგორც: „წარმოების პროცესის სანიმუშო პრაქტიკა“, რაც, სხვა მნიშვნელობას სძენს აღნიშნულ ტერმინს. ასევე აღნიშნულ სწავლის შედეგში გამოყენებულ უნდა იქნას, აქტიური ზმნა.

ქვესტანდარტი 2.3 სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე - დაწესებულებაში სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია საჭირო რესურსით. მსმენელებს შეუძლიათ სასწავლო რესურსები გამოიყენონ ადგილზე, ან საჭიროების შემთხვევაში მიიღონ ამობეჭდილი მასალა, გაიცა რეკომენდაცია, სასწავლო რესურსებს დაემატოს საქართველოს მთავრობის შემდეგი რეგლამენტები: დადგენილება №376 - „ხორბლის ფქვილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“; დადგენილება №173 – „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ შესახებ; დადგენილება №301 - ტექნიკური რეგლამენტი „მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“.

დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 20, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე - 24, პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, დავით გურამიშვილის ჩიხი №9ა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, ხოლო აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია, პროგრამის მოცულობაა - 240 საათი (12 კვირა), კვირეული დატვირთვა - 20 სთ. აღნიშნული პროგრამა განხორციელდება AC ინტეგრირებულ გარემოში.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებული იქნება მრავალფეროვანი სწავლის მეთოდები - ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა.

პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი, რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

წარმოდგენილი პროგრამა განხორციელდება AC ინტეგრირებული გარემოში, სასწავლო აუდიტორიაში სამუშაო ადგილების რაოდენობა არის 15, ვიზუალურად გადამოწმდა კოლეჯის სასწავლო გარემო, მატერიალური რესურსი.

დაწესებულებამ ელექტრონულ სისტემაში წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც დგინდება, რომ სსიპ კოლეჯ „მერმისის“ შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს, დაწესებულებაში ხელმისაწვდომ ადგილებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, კოლეჯის თანამშრომლებს სისტემატურად უტარდებათ ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ტრენინგები, კოლეჯის შენობაში თვალსაჩინო ადგილას, ყველა სართულზე, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით შემუშავებულია და დირექტორის მიერ დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“.
დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, აღნიშნული დაწესებულება არის ავტორიზებული, რომელმაც 2019 წელს რეავტორიზაცია გაიარა 19 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ამავდროულად კოლეჯი ახორციელებს მოკლევადიან პროგრამებს. კოლეჯმა „მერმისმა“ მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა.

სსიპ კოლეჯ „მერმისის“ დირექტორის ბრძანებით აქვს დამტკიცებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დეტალურად აღწერს ყველა პროცესის მიმდინარეობას, როგორიც არის მსმენელის სტატუსის მოპოვება, სტატუსის შეწყვეტა და ა.შ. კოლეჯის დირექტორი აპლიკანტთა შერჩევის პროცედურის დაწყებამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას
სსიპ - კოლეჯი „მერმისი“ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას ახდენს როგორც დაწესებულების ვებგვერდის (www.mermisicollege.edu.ge/), ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლის მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესება და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს განვითარების არსებული ეტაპის დადგენას და განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას, ხორციელდება როგორც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების სასწავლო პროცესის, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესაბამისობის შეფასების გზით და ეფუძნება დემინგის ციკლის მოდელს. სსიპ კოლეჯი ,,მერმისის“ რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში tvet.emis.ge ასახავს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების განხორციელების შესახებ ინფორმაციას.

დაწესებულება ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში eflow. შესაბამისად, დაწესებულება თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას.
დაწესებულება გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.
სსიპ კოლეჯი „მერმისი“ ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 მაისის N 99/ნ ბრძანების მოთხოვნებს და მის საფუძველზე ხდება კოლეჯის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის დადგენილი ფორმით დამზადება და გაცემა.

ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა tvet.emis.ge-ზე ატვირთული სერთიფიკატები, ასევე მოხდა მატერიალური სარეგისტრაციო ჟურნალის დათვალიერებაც, რომელიც წესისამებრ არის შედგენილი და დაცული.
საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა განაცხადა, როგორც აღინიშნა წარმოდგენილ განაცხადში ფიქსიდა ხარვეზები და ასევე გაიცა რეკომენდაციები, მან მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები დამიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით. მან დასძინა, რომ კოლეჯი დიდი გამოცდილების მქონე დაწესებულებაა, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პარალელურად ახორციელებს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებს, დასკვნის თანახმად პროგრამის ადმინისტრირების ნაწილში პროცესებიგამართულია და მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა პირველ სტანდარტთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნანა ნამგალაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და მიმართა საბჭოს წევრებს, რომ პირველ რიგში შეეხებოდა 1.9 ქვესტანდარტს, ვინაიდან 1.2 და 1.3 ქვესტანდარტთან დაფიქსირებული ხარვეზი ამ ქვესტანდარტს უკავშირდება.

როგორც აღინიშნა, დაწესებულება ახორციელებს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს, თუმცა უფლების მოპოვების გზით, ეს არის პირველი შემთხვევა, შესაბამისად დაწესებულებას არ ჰქონდა გამოცდილება, თუმცა კოლეჯი ახორციელებს სკოლებში სურსათის უვნებლობის სასერტიფიკატო კურსებს. ასევე კოლეჯს აქვს გამოცდილება საგნობრივი პროგრამის განხორციელებისა. მან დასძინა, რომ არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ ამზადებს ამ დარგის პროგრამებს, ვინაიდან კოლეჯს აქვს ქიმიური ლაბორატორია, რომელიც საკმაოდ კარგად არის აღჭურვილი, სწორედ აქედან წამოვიდა ამ პროგრამის განხორციელების იდეა. რაც შეეხება საკითხს, რომ პროგრამა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას ითვალისწინებს, მხოლოდ სასწავლო ქიმიური ლაბორატორიის ბაზაზე და ჩართული არ ჰყავს პრაქტიკის ობიექტები (საწარმოები), რაც თავის მხრივ გამორიცხავს პროგრამის მიზნის მისაღწევად საჭირო სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას.
პროგრამის სახელწოდებიდან გამომდინარე, საწარმოს მნიშვნელოვანი წილი უკავია, თუმცა კოლეჯს არ აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი არცერთ რძის ან/და პურ-პროდუქტების საწარმოსთან ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში დაეყრდნობოდა №416 დადგენილებას, სადაც ვკითხულობთ, რომ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს რეალურ ან იმიტირებულ გარემოში პროგრამის განხორციელებას, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულებას აქვს როგორც ზემოთ აღინიშნა, საკმაოდ კარგად აღჭურვილი ლაბორატორია, ასევე აღსანიშნავია, რომ პურის მრეწველთა ასოცოაცია გამოთქვამს თანამშრომლობის მზაობას კურსდამთავრებულთა დასაქმების თაობაზე პურისა და პურ-პროდუქტების მწარმოებელ საწარმოებში.

დაწესებულებას ჰქონდა იმის საშუალება, რომ გაეფორმებინა მემორანდუმი, მაგრამ იქ მსმენელები იქნებოდნენ პასიურ პოზიციაში ან დამხმარე, ხოლო დაწესებულების ლაბორატორიაში უფრო მეტად იქნებოდნენ ჩართული პრაქტიკულ ნაწილში.

რაც შეეხება 1.3 ქვესტანდარტს, პროგრამის მიზანთან დაკავშირებით, რომ მიზანი მისი სახელწოდებისა და შინაარსიდან გამომდინარე, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული. მიზანი გავრცობილია და ფორმულირება არადამაკმაყოფილებელი. HACCP-ის სისტემის 12 ეტაპში, პირველი პრინციპი (ეტაპი 6) არის „საფრთხის ანალიზი“, რაც გულისხმობს ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური საფრთხეების გამოვლენას. რაც შეეხება კონკრეტულ საფრთხეებს, პროგრამის ბოლო კვირეებშია გაწერილი კონკრეტული საფრთხეები, რაც შეეხება მიზნის მეორე ნაწილს, რომ შეძლებენ შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით რძისა და პურ-პროდუქტების ვარგისიანობის კვლევას/შემოწმებას ლაბორატორიულად, აქ იგულისხმება ლაბორატორიაში ცდების ჩატარება. მან დასძინა, რომ სწავლის შედეგები არ არის კოპირებული, განზოგადებულია, რათა გაიგოს მსმენელმა რას შეიცავს, თუმცა ზუსტად შედეგები არ არის მიზანში გადმოტანილი. რაც შეეხება სახელწოდებას, უნდა იყოს ლაბორატორია, რომ სრულად მოიცავდეს პროგრამის შემადგენელ ნაწილებს.

დარგის ექსპერტმა ამასთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი, მან აღნიშნა, რომ როდესაც საუბარია პროგრამის სახელწოდებაზე, მოლოდინი ჩნდება იმისა, რომ თუნდაც ერთი ვიზიტი იყოს საწარმოში, ლაბორატორია, როგორც აღინიშნა, ძალიან კარგი აქვს დაწესებულებას, შინაარსობრივი ნაწილის მიხედვით აქ გამახვილებულია ყურადღება ლაბორატორიებზე, ან თუნდაც საწარმოს ტიპის რომ იყოს C გარემო, მაშინ მისაღები იქნებოდა სახელწოდებაც.

საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ბაბალაშვილმა 1.9 ქვესტანდარტთან მიმართებაში აღნიშნა, რომ სრულად ეთანხმებოდა ექსპერტის მოსაზრებას, თუნდაც ერთი ვიზიტი საწარმოში რომ იყოს გათვალისწინებული პროგრამაში უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი იქნება.

საბჭოს წევრი მარიკა ზაქარეიშვილიც დაეთანხმა დარგის ექსპერტის მოსაზრებას მსმენელების თუნდაც ერთი ვიზიტის შესახებ საწარმოში, ნამდვილად უნდა ჩაერთოს კომპანიები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ ამ ეტაპზე სასურველი იქნებოდა დაწესებულებისთვის მიეცა საბჭოს ხარვეზების გამოსწორების და რეკომენდაციების გათვალისწინების საშუალება, რომელსაც დაწესებულება ერთ თვეში გამოასწორებდა.

ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ ნამდვილად საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა საწარმოების ჩართვა პროგრამის განხორციელებისთვის, თუნდაც სასწავლო ექსკურსიების სახით. მან მიმართა დარგის ექსპერტს, თუ ასეთი მემორანდუმებით შეივსება პროგრამა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა პროგრამის სახელწოდების შეცვლა, რაზეც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ყველაფრის მორგება ერთმანეთთან, პროგრამაში დიდი წილი არის დათმობილი ლაბორატორიაზე, თუ მოხდება პროგრამის სახელწოდების ცვლილება და დაემატება საწარმოებში ვიზიტის მემორანდუმები, მხოლოდ საწარმოების დამატება და საწარმოში ერთხელ ვიზიტი არ იქნება საკმარისი, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სწავლის შედეგებიდან ლაბორატორიას ეთმობა მეტი წილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ „სურსათის უვნებლობა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში“ - პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „მერმისს“ (ს/კ: 209467646) განესაზღვროს საბჭოს სხდომიდან 30 კალენდარული დღის ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - სურსათის უვნებლობა რძისა და პურ-პროდუქტების საწარმოებში /01784/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 16:15 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

მ. ზ

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01673	ენერგიის განახლებადი წყაროების მოწყობილობების მონტაჟი (მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი)	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	13	ქართული	15	ქ. ჭიათურა, ძმები დეკანოზიშვილების ქ. №1

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01650	ექსტრემალური სპელეოტურის გამყოლი	პროფესიული მომზადება	მეხუთე	6	ქართული	12	წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული, პრომეთეს, მელოურის და ბღერის მღვიმე, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხავერდოვანას და ფოთოლცვენის მღვიმე

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01765	ქართული და საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული კერძების მომზადება	პროფესიული მომზადება	მესამე	15	ქართული	24	დაბა შუახევი, ი. ჭავჭავაძის ქ. №8